პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 169 (3653)

1968 წ. 28 აგვისტო, ოთხშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

## ა. კრავჩენკო — უძლიერესი

მოსკოვში დამთავრდა „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა თანამედროვე ხუთჭიდში, რომელიც ამავე დროს ამ საზოგადოების სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ასპარეზობაც იყო.

კარგად გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები, რომლებმაც გუნდურ ჩათვლაში III ადგილი დაიკავეს.

პირად ჩათვლაში ყველას აჯობა საქართველოს წარმომადგენელმა ა. კრავჩენკომ: 5199 ქულით მან „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონობა დაისაკუთრა. კრავჩენკომ შეასრულა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი და ჩამოიტოვა ცნობილი ხუთჭიდელები — სსრ კავშირის ნაკრების წევრები ვ. მინეევი, ვ. ნაზაროვი და სხვ.

**თანამედროვე ხუთჭიდი**



როგორც ვიუწყებოდით, კოსტრომაში ექვს დღეს გრძელდებოდა სოფლის ცხენოსანთა საკავშირო შეჯიბრება. კარგად გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის მხედრები, რომლებმაც საერთო II ადგილი მოიხვეჭეს, ხოლო ზუგდიდელმა ა. კრაინენკომ ყველას აჯობა ამორჩევით დაბრკოლებათა გადალახვაში. ეს შეჯიბრება შესანიშნავი წვრთნა იყო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების I ახალგაზრდული საკავშირო თამაშების წინ, რომელიც სექტემბერში ალმა-ათაში მოეწყობა.

* * *

სურათზე: ა. კრაინენკო ასპარეზობისას.

ფოტო კ. ფუნტოვისა.

## 1968 MEXICO

## მეხიკოს სიგნალები

### ოლიმპიურმა ჩემპიონებმა შემადგენლობა გამოაცხადეს

**ნიუ-იორკი**, 27 აგვისტო. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებმა — ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელებმა თავიანთი შემადგენლობა გამოაცხადეს მექსიკაში სასპარეზოდ. გუნდში შევიდნენ: მაიკ ბარეტი, კელვინ ფაულერი, ჯონ კლაუსონი, დონალდ დი, სპენსერ ჰეივუდი, ჯეიმს კინგი, ჩარლზ სკოტი, გლინ საულტერსი, კენ სპეინი, მაიკ სილიმენი, ბილ ჰოსკეტი და ჯო უაიტი. როგორც ხედავთ, მონაწილეთა უმეტესობა (10) წლეულს სსრ კავშირში ასპარეზობდა მინსკსა და მოსკოვში გამართულ წინაოლიმპიურ ტურნირებში. ამ შეჯიბრებებში მხოლოდ ორი კალათბურთელი — ცენტრი ჰოსკეტი (სიმაღლე 201 სმ, წონა 102,6 კგ) და მცველი უაიტი (190 სმ, 87,8 კგ) არ მონაწილეობდნენ. ასოშიეიტედ პრესის აზრით, ორივე ეს კალათბურთელი ყველას სჯობს აშშ-ს ოლიმპიურ ნაკრებში.

### მერი რენდი ავადაა

**ლონდონი** 27 აგვისტო. შეიძლება ისე მოხდეს, რომ მექსიკის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა ვერ მიიღოს მერი რენდმა, სპორტსმენმა, რომელმაც დიდ ბრიტანეთს ტოკიოს ოლიმპიადაში ოქროს (სიგრძეზე ხტომაში გამარჯვებისათვის), ვერცხლის (ხუთჭიდში) და ბრინჯაოს (4×100 მეტრზე ესტაფეტაში) მედლები მოუტანა. მიზეზი ტრავმაა, რომელსაც მუხლების ავადმყოფობა მოჰყვა. მერი მკურნალობს, მაგრამ, როგორც ამბობს, ტკივილს სიარულის დროსაც კი გრძნობს. ასეა თუ ისე, წლევანდელი სეზონი, როგორც იუპ-ის სააგენტო იუწყება, ბოლოა მის ცხოვრებაში: ოლიმპიადის შემდეგ მერი თავს ანებებს სპორტს და კალიფორნიაში სახლდება.

◆ **ბუდაპეშტი, 27 აგვისტო.** მოსკოვის ხელბურთელ ქალთა ნაკრებმა აქ ამხანაგურ მატჩში დაამარცხა უნგრეთის ახალგაზრდული გუნდი — 14:10 (6:7).

◆ **ლოს-ანჯელესი**, 27 აგვისტო. თავისივე მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში 16 წლის ამერიკელმა კეტი ბოლმა. ახალი რეკორდია 2.38,5. წინადღით კეტიმ ამ სტილით ცურვაში ისევ თავისი მსოფლიო რეკორდი დაამხო 100 მეტრზე — 1.14,2 აჩვენა.

◆ *მედემბლიკი (ჰოლანდია), 27 აგვისტო. აქ დაიწყო ევროპის აფროსანთა ჩემპიონატი „ფინის“ კლასში. პირველმა რბოლამ წარმატება ტოკიოს ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორს ჰ. ვინდს (დანია) მოუტანა. შეჯიბრებაში 21 ქვეყნის 40 აფროსანი მონაწილეობს, მათ შორის, კიეველი ვ. მანკინი და მოსკოველი ვ. კოზლოვი.*

◆ **ტორონტო, 27 აგვისტო.** ამერიკის შეერთებული შტატების მოჭადრაკეთა ღია ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ დანიელი დიდოსტატი ბ. ლარსენი კანადას ჩამოვიდა და უმალვე ჩაება ამ ქვეყნის ჩემპიონის წოდებისთვის ბრძოლაში. ტურნირი შვეიცარიული სისტემით ტარდება. სტარტი აიღო 163 კაცმა. 10 დღეში გაიმართება 11 ტური. პირველი ორი წრის შემდეგ ლარსენს ქულათა მაქსიმუმი აქვს — 2.

◆ გეტებორგი, 27 აგვისტო. მძლეოსანთა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში რ. კლარკმა (ავსტრალია) 3000 მეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდის დამხობა მოისურვა. იერიში ამაო გამოდგა: სუსტ მეტოქეებთან მან მხოლოდ 7.55,0 აჩვენა. საკმაოდ მაღალი შედეგით მოიგო 1500 მეტრზე რბენა ევროპის ჩემპიონმა ბ. ტიუმლერმა (გფრ) — 3.38,1.

◆ *ვროცლავი, 27 აგვისტო. ყრუ-მუნჯ მძლეოსანთა მსოფლიო რეკორდი დაამყარა 21 წლის ლენინგრადელმა ნ. ივანოვამ 80 მეტრზე თარჯრბენში — 11,6. ეს შედეგი ლენინგრადის სტამბა „პეჩატნი დვორის“ ამკინძავმა სსრ კავშირისა და პოლონეთის ყრუ-მუნჯ სპორტსმენთა ნაკრები გუნდების აქ გამართულ მატჩში აჩვენა (გაიმარჯვეს სტუმრებმა — 158:123).*

◆ **რომი**, 27 აგვისტო. ადგილობრივ ტრეკზე უდიდესი ინტერესით მიმდინარეობს ველოსიპედისტთა მსოფლიო ჩემპიონატი. ბრძოლაში ჩაება მ. მარკოვიც — სსრ კავშირის ჩემპიონი სალიდერო რბოლაში. 50-კილომეტრიან სერიაში იგი ფინალში გასასვლელად ან პირველი უნდა ყოფილიყო, ან მეორე. მაგრამ მარკოვმა III ადგილი დაიკავა და ახლა სანუგეშო სერიაში მოუწევს გამოსვლა, საიდანაც ფინალის საგზურს მხოლოდ 2 სპორტსმენი მოიპოვებს. მოასპარეზეებმა ფანტასტიკური სისწრაფე განავითარეს. მაგალითად, მეხამე სერიაში გამარჯვებულმა (ამ სერიაში გამოდიოდა მარკოვიც) შვეიცარიელმა ბ. ბერგერმა 50 კმ საათში 74,208 კმ საშუალო სისწრაფით დაფარა. II ადგილი ამ რბოლაში იტალიელმა ა. კასტელომ დაიკავა. ქალებში ხუთივე საბჭოთა სპორტსმენი განაგრძობს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლას.

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

### გათამაშების ცხრილები

„ბ“ კლასი

მდგომარეობა 27 აგვისტოსათვის

#### III ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ (ბელგოროდი) | 26 | 16 | 5 | 5 | 52—17 | 37 |
| „დილა“ (გორი) | 26 | 15 | 7 | 4 | 47—16 | 37 |
| „უროჟაი“ (მაიკოპი) | 27 | 16 | 5 | 6 | 40—15 | 37 |
| „შრ. რეზერვები“ (კურსკი) | 26 | 15 | 6 | 5 | 36—30 | 36 |
| „ხიმიკი“ (ბალაკოვო) | 27 | 12 | 11 | 4 | 29—14 | 35 |
| „მეტალურგი“ (რუსთავი) | 26 | 13 | 5 | 8 | 24—16 | 31 |
| „სპარტაკი“ (ორიოლი) | 26 | 10 | 10 | 6 | 29—18 | 30 |
| „ენერგია“ (ვოლჟსკი) | 27 | 10 | 9 | 8 | 28—21 | 29 |
| „ალაზანი“ (გურჯაანი) | 26 | 11 | 5 | 10 | 31—28 | 27 |
| „უროჟაი“ (სლავიანსკი) | 26 | 10 | 6 | 10 | 28—25 | 26 |
| „ტორპედო“ (არმავირი) | 25 | 9 | 8 | 8 | 24—24 | 26 |
| „უროჟაი“ (ლაბინსკი) | 26 | 8 | 9 | 9 | 13—32 | 25 |
| „ტრუდი“ (ენგელსი) | 25 | 8 | 8 | 9 | 24—21 | 24 |
| „კოლოსი“ (ალექსანდროვსკაია) | 27 | 9 | 6 | 12 | 23—29 | 24 |
| „დაშკინი“ (ზაქათალა) | 26 | 9 | 6 | 11 | 23—40 | 24 |
| „ტექსტილშჩიკი“ (მინგეჩაური) | 26 | 7 | 8 | 11 | 20—32 | 22 |
| „უროჟაი“ (ლენინგრადსკაია) | 26 | 5 | 10 | 11 | 16—27 | 20 |
| „ხიმიკი“ (ნევინომისკი) | 26 | 5 | 9 | 12 | 20—28 | 19 |
| „უროჟაი“ (სვეტლოგრადი) | 27 | 5 | 9 | 13 | 19—40 | 19 |
| „არაზი“ (ნახიჩევანი) | 26 | 4 | 6 | 16 | 18—48 | 14 |
| „ურალანი“ (ელისტა) | 26 | 1 | 5 | 20 | 20—53 | 7 |

#### IV ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) | 27 | 13 | 10 | 4 | 36—14 | 36 |
| „ლორი“ (კიროვაკანი) | 26 | 12 | 12 | 2 | 25—16 | 36 |
| „მაშუკი“ (პიატიგორსკი) | 27 | 14 | 5 | 8 | 34—19 | 33 |
| „სევანი“ (ოქტემბერიანი) | 26 | 13 | 6 | 7 | 38—22 | 32 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 26 | 13 | 5 | 8 | 39—27 | 31 |
| „არაქსი“ (ეჩმიაძინი) | 26 | 13 | 3 | 10 | 27—24 | 29 |
| „მერცხალი“ (მახარაძე) | 27 | 11 | 7 | 9 | 32—33 | 29 |
| „უროჟაი“ (კრიმსკი) | 26 | 9 | 10 | 7 | 29—25 | 28 |
| „შუქურა“ (ქობულეთი) | 27 | 9 | 10 | 8 | 29—30 | 28 |
| „მალაროელი“ (ჭიათურა) | 26 | 9 | 9 | 8 | 27—23 | 27 |
| „დინამო“ (სოხუმი) | 27 | 11 | 4 | 12 | 37—29 | 26 |
| „უროჟაი“ (დერბენტი) | 24 | 9 | 8 | 7 | 22—23 | 26 |
| „ნარზანი“ (კისლოვოდსკი) | 25 | 8 | 9 | 8 | 27—19 | 25 |
| „კოლხეთი“ (ფოთი) | 27 | 10 | 5 | 12 | 32—26 | 25 |
| „ირისთონი“ (მოზდოკი) | 27 | 9 | 7 | 11 | 29—29 | 25 |
| „ტრუდი“ (კასპიისკი) | 26 | 10 | 5 | 11 | 26—31 | 25 |
| „ენგური“ (ზუგდიდი) | 27 | 8 | 9 | 10 | 21—29 | 25 |
| „სპარტაკი“ (ცხინვალი) | 26 | 6 | 8 | 12 | 16—27 | 20 |
| „ლერნაგორცი“ (კაფანი) | 26 | 7 | 3 | 16 | 20—41 | 17 |
| „უროჟაი“ (გროზნო) | 25 | 4 | 7 | 14 | 25—42 | 15 |
| „კახეთი“ (თელავი) | 26 | 3 | 6 | 17 | 13—43 | 12 |

## პირველობა მიიწურა

მიიწურა საქართველოს ვაჟთა პირველობა ჭადრაკში. ფინიშამდე ორი ტურიღა დარჩა. ამჟამად, 9 ტურის შემდეგ, ლიდერობენ უკონკურსოდ მოთამაშე აზერბაიჯანის ჩემპიონი, ოსტატი ა. ბაბაიანი — 8 ქულა, ს. თომაშვილი, ვ. ბახტაძე (ორივე — თბილისი) — 6-6 ქულა და თითო გადადებული პარტია. ვ. კანდელაკი (კასპი) — 5,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, ოსტატი ს. პაჩლაჯიანი (თბილისი) — 5.

VIII და IX ტურებში ბრძოლის სიმწვავემ იმატა. VIII ტურში პირველი მარცხი იგემა კანდელაკმა ბახტაძესთან შეხვედრაში. წარმატებად უნდა მივიჩნიოთ ბათუმელი პირველთანრიგოსნის ა. დურნიკოვის ყაიმი ბაბაიანთან.

IX ტურში პრინციპული ბრძოლა გაჩაღდეს ლიდერებმა, ბახტაძემ და თომაშვილმა. ოთხსაათიანი თამაშის შემდეგ პარტია გადაიდო თომაშვილის უპირატესობით.

პ. ხერგიაშვილი.

**შაში**

# მწვერვალები ნებდებიან მამაცებს



## უშბას არ ახსოვს...

ქართველი მთამსვლელები სამართლიანად ითვლებიან საბჭოთა ალპინიზმის ფუძემდებლებად. მათვე ეკუთვნით ერთ-ერთი ულამაზესი და ურთულესი მწვერვალის უშბის პირველ დამპყრობთა სახელი: 1934 წელს უშბის რთული სამხრეთი მწვერვალი დაიპყრეს სახელგანთქმულმა ქართველმა სპორტსმენებმა ალექსანდრა და ალიოშა ჯაფარიძეებმა, იაგორ კაზალიკაშვილმა და გიო ნიგურიანმა. მას შემდეგ ბევრმა მამაცმა მთამსვლელმა შედგა ფეხი სვანეთის თავს გადმომზირალ ამ უკარება მწვერვალზე, რომლის მიუდგომლობა ერთ დროს თითქმის ლეგენდად იყო ქცეული. მაგრამ მამაცთა ასეთი მძლავრი, თუ შეიძლება ითქვას, კოლექტიური იერიში, როგორიც 9 აგვისტოს მიიტანა ჩრდილოეთ მწვერვალზე 45 ქართველმა მთამსვლელმა, უშბას არ ახსოვს.

ეს უჩვეულო ასვლა საქართველოს მთამსვლელობის ფედერაციამ მოაწყო. იერიშის მონაწილენი გაზაფხულის დამდეგიდან ემზადებოდნენ. ამას მოჰყვა შეკრება მთამსვლელურ ბანაკ „აილამაში", კანდიდატთა ერთხელ კიდევ გულდასმით შერჩევა, შემდეგ კი მარშრუტის მომზადება. ასვლას ხელმძღვანელობდა სპორტის დამსახურებული ოსტატი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, „კლდის ვეფხვი" მიხეილ ხერგიანი. მისი თანაშემწე იყო სპორტის ოსტატი ნოდარ კანკავა.

მამაცმა მთამსვლელებმა ეს ერთობლივი ასვლა კომკავშირის 50 წლისთავს მიუძღვნეს.

## დიდი პოეტის სახელობისა

საქართველოს მთამსვლელთა ჯგუფმა კავკასიონის ცენტრალურ ნაწილში დაიპყრო უსახელო მწვერვალი, რომელსაც ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელი უწოდა.

* * *

სურათზე: უშბის დამპყრობთა ერთი ჯგუფი. მარცხნიდან მეოთხე — 72 წლის ა. კვიციანი.

ფოტო ა. ჩარკვიანისა.

## ჯილდოები ღირსეულთ

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს ბიუროს დადგენილებით „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს 25 წლისთავთან დაკავშირებით და პროფტექგანათლების სასწავლო დაწესებულებების სისტემაში მრავალი წლის ნაყოფიერი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის აღსანიშნავად „ფიზიკური კულტურის წარჩინებულის" ნიშნით დაჯილდოვდა „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოსა და პროფტექგანათლების მუშაკთა ჯგუფი:

1. გ. ავაქოვი — „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს მწვრთნელი ფეხბურთში,

2. კ. ბარამიძე — რუსთავის № 17 პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორი,

3. უ. ბარნაბიშვილი — თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმის დირექტორის მოადგილე ფიზაღზრდის დარგში,

4. გ. გერაძე — ქუთაისის „შრომითი რეზერვების" მწვრთნელი მძლეოსნობაში,

5. ს. კრავჩენკო — თბილისის № 27 პროფტექნიკური სასწავლებლის ფიზაღზრდის ხელმძღვანელი,

6. ვ. ოსმანოვი — „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს უფროსი მწვრთნელი მძლეოსნობაში,

7. გ. სოკოლოვსკაია — „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს უფროსი ინსპექტორი,

8. ნ. ჩხენკელი — წულუკიძის № 9 პროფტექნიკური სასწავლებლის ფიზაღზრდის ხელმძღვანელი,

9. კ. ხაჩატუროვი — „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს ინსპექტორი,

10. ა. ჯალალანია — ველისციხის № 13 პროფტექნიკური სასწავლებლის ფიზაღზრდის ხელმძღვანელი.

* * *

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს ბიუროს დადგენილებით მასობრივ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ და სპორტულ მუშაობაში მრავალი წლის ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის სიგელებით დაჯილდოვდნენ:

1. თ. თედეევა — „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს უფროსი მწვრთნელი სპორტულ ტანვარჯიშში,

2. გ. კირვალიძე — „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე,

3. ვ. ლიტვინოვი — „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს მწვრთნელი აკრობატიკაში,

4. ი. რუხაძე — „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს უფროსი მწვრთნელი,

5. მ. ქელეხსაშვილი — „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს უფროსი მწვრთნელი აკრობატიკაში,

6. მ. ჩიხლაძე — საქართველოს მინისტრთა საბჭოს პროფესიული განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე,

7. ი. ხარჩილავა — „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს სპორტკომბინატის დირექტორი.

* * *

პროფკავშირთა საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში აქტიური მუშაობისთვის „პროფკავშირთა აქტივისტის" ნიშნით დაჯილდოვდა თბილისის № 11 პროფტექნიკური სასწავლებლის ფიზაღზრდის ხელმძღვანელი კ. ბირბიჩოვი.

* * *

„შრომითი რეზერვების" 25 წლისთავთან დაკავშირებით, ამავე სპორტული საზოგადოების ცენტრალური საბჭოს სიგელებით ჩვენს რესპუბლიკაში კიდევ 46 კაცი დაჯილდოვდა.

## წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით საქართველოს სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა: **ლელობურთში** — გ. ჯაყელს (ჩოხატაურის „სპარტაკი").

* * *

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით სპორტის ოსტატის კანდიდატის წოდება მიენიჭათ: **თავისუფალ ჭიდაობაში** — ნ. გაბაიძეს (ბათუმის „განთიადი"); **სამბოში** — გ. ონაშვილს (სავარეჯოს „კოლმეურნე"); **კლასიკურ ჭიდაობაში** — ზ. მიქელაძეს (ბათუმის „დინამო"); **ცურვაში** — ჯ. ჩაბაკაურს, ა. გურასაშვილს, ვ. ონუფრიენკოს (სამივე — თბილისის „შრომითი რეზერვები"), პ. გევორქოვს, ვ. ჭარბაძეს (ორივე — თბილისის „დინამო"); **მძლეოსნობაში** — თ. აბხაზავას (თბილისის „დინამო"), ვ. მაირომიანს (გაგრის „დინამო"); **კალათბურთში** — თ. ფილცხელაურს, თ. ჩიხლაძეს (ორივე — თბილისის „დინამო"); **თანამედროვე ხუთჭიდში** — ვ. კალინინს (თბილისის „დინამო"); **სათხილამურო სპორტში** — დ. თვაურს (ბაკურიანის „კოლმეურნე").

* * *

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა: **ფეხბურთში** — გ. ბაქანიძეს (თბილისი).

* * *

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭათ: **ჭიდაობაში** — დ. დავითაიას (თბილისი), გ. ჯორბენაძეს (ბათუმი).

## რაიონებში [illegible]

### ახმეტა

საინტერესოდ ჩატარდა სოფელ ჯანკისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის პირველობა ფეხბურთში, რომელშიც 6 განყოფილების გუნდები მონაწილეობდნენ. გამარჯვება წილად ხვდათ სოფ. დუისის განყოფილების წარმომადგენლებს. გაიმართება აგრეთვე შეჯიბრებები ჭიდაობაში, კალათბურთში, ფრენბურთში, ჭადრაკსა და შაშში.

ე. ზარიძე.

### ადიგენი

ერთ თვეს გასტანა „კოლმეურნის" რაიონული თასის გათამაშებამ ფეხბურთში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ არლისა და აბასთუმნის ფეხბურთელები. გადამწყვეტი მატჩი ანგარიშით 3:2 მოიგეს არლელებმა.

გ. რუხაძე.

### ოჩამჩირე

„კოლმეურნის" სპორტდარბაზში ჩატარდა რაიონული პირველობა ძალოსნობაში. თავი გამოიჩინეს ა. ძიძიგურმა, ა. ადლეიბამ, ვ. გურიევმა, რ. ფერცხელავამ და გ. ახობაძემ.

* * *

„კოლმეურნისა" და დოსააფის თაოსნობით მოეწყო რაიონული პირველობა ტყვიის სროლაში. გამარჯვება წილად ხვდა მერკულის ჩაის საბჭოთა მეურნეობის გუნდს.

რ. ჭედია.

## ისევ მოწინავეთა შორის

კვლავ საუკეთესოდ მუშაობს საქსპორტვაჭრობის კოლექტივი, რომელიც მოწოდებულია რესპუბლიკური ფიზკულტურული ორგანიზაციები, სპორტული კოლექტივები, მოსახლეობა უკეთ მოამარაგოს სპორტული ინვენტარითა და საქონლით.

საქსპორტვაჭრობის კოლექტივი კვლავ დაჯილდოვდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშით, რომელიც მან 1968 წლის II კვარტალის სოცშეჯიბრების შედეგების მიხედვით მოიპოვა.

26 აგვისტოს ვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირის თბილისის კულტურის სახლში შედგა საზეიმო კრება. სადაც საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს ვაჭრობის ორგანიზაციისა და ახალი ტექნიკის დანერგვის სამმართველოს უფროსმა გ. ჩიგოგიძემ საპატიო დროშა გადასცა საქსპორტვაჭრობის დირექტორის მოადგილეს ა. მიკუჩაძეს.

## აჭარის წარმომადგენლები ზუსტად ისვრიან

ზუგდიდში ჩატარდა ტყვიის მსროლელთა პირად-გუნდური შეჯიბრება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ახალგაზრდობის I რესპუბლიკური თამაშების პროგრამით. ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღო 14 გუნდმა. ყოველი კოლექტივის შემადგენლობა 2 ვაჟითა და 1 ქალით განისაზღვრებოდა.

„მშ-8" ვარჯიშში ვაჟთა შორის ყველას აჯობა აჭარის გუნდმა, რომელმაც 571 ქულა დააგროვა და II ადგილზე გასულ აფხაზეთის მსროლელებს 8 ქულით გაუსწრო. პირად ჩათვლაში საუკეთესო იყო ოსტატობის კანდიდატი გ. პელენიოვი (აჭარა) — 294 ქულა.

აჭარის წარმომადგენელთა წარმატებით დამთავრდა ქალთა ასპარეზობაც ამ სახეობაში. დაძაბული ბრძოლით აღინიშნა პირადი შეჯიბრება, რომელიც ერთნაირი შედეგით (279 ქულა) დაამთავრეს აჭარის გუნდის წევრმა ა. კომახიძემ და აფხაზეთის წარმომადგენელმა ვ. დაგდავერიანმა. I ადგილი კომახიძეს მიეკუთვნა, რომელსაც გადამწყვეტ სერიაში უკეთესი მაჩვენებლები აღმოაჩნდა.

აჭარის მსროლელებმა გუნდური პირველობა არც „მშ-4" ვარჯიშში დათმეს. ვაჟთა პირად შეჯიბრებაში ყველაზე კარგი შედეგი აჩვენა აფხაზეთის გუნდის წევრმა ვ. პოლეხოვმა — 273 ქულა. ქალებში კვლავ თავი გამოიჩინა ა. კომახიძემ (239 ქულა), რომელმაც უახლოეს მეტოქეს 12 ქულით გაუსწრო.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება წილად ხვდათ აჭარის მსროლელებს (მწვრთნელი თ. მელია). II ადგილი დაისაკუთრა აფხაზეთის გუნდმა, III — ზუგდიდელთა კოლექტივმა.

თ. ლეკიშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯის მოადგილე, სპორტის ოსტატი.

## მხიარულად, შინაარსიანად...

მხიარულად, შინაარსიანად ატარებენ ზაფხულის არდადეგებს სოფელ კოლაგის 8-წლიანი სკოლის მოსწავლეები. თამაშობენ ფრენბურთს, კალათბურთს, ფეხბურთს, აწყობენ ტურისტულ ლაშქრობებსა და ექსკურსიებს, ეცნობიან ისტორიულ ძეგლებს...

სკოლის დირექტორის შ. ბერიკაშვილისა და ფიზაღზრდის მასწავლებლის ვ. რიკაძის ხელმძღვანელობით მოეწყო ექსკურსია მარშრუტით: გურჯაანი — ქუთაისი — ბათუმი — გურჯაანი. მოსწავლეებმა ქუთაისში დაათვალიერეს სათაფლია, გელათი და ბაგრატის ტაძარი. ქალაქის სხვა ღირსშესანიშნაობანი.

მოსწავლეებს ძალიან მოეწონათ ბათუმი. უკან დაბრუნებისას დაათვალიერეს სურამის ციხე, გორი და მისი ისტორიული ადგილები, თბილისი.

ი. ოდიშელიძე.
სოფ. კოლაგი,
გურჯაანის რაიონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მთიელ ქალთა სპარტაკიადა

## ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში

დუშანბე, 26 აგვისტო. ტაჯიკეთის დედაქალაქში დაიწყო ქალთა ახალგაზრდული IV რესპუბლიკური სპარტაკიადა. ოქროს მედლებისთვის, აგრეთვე, შუა აზიის რესპუბლიკებისა და ყაზახეთის ქალთა I ახალგაზრდული სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობის საგზურებისთვის (გაიმართება დუშანბეში სექტემბრის შუა რიცხვებში) 400-ზე მეტი საუკეთესო სპორტსმენი იბრძვის.

სპორტის ათასობით მოყვარულმა მოიყარა თავი ფრუნზეს სახელობის რესპუბლიკურ სტადიონზე, სადაც სპარტაკიადის გახსნა მოეწყო. მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ტაჯიკეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ბობოსადიკოვამ.

წინასწარ შეჯიბრებებში სტარტი აიღო 9 ათასზე მეტმა სპორტსმენმა, ბევრი თანრიგოსანი გახდა, 16 მონაწილემ კი სპორტის ოსტატისა და ოსტატობის კანდიდატის ნორმა შეასრულა.

შეჯიბრება გრძელდება. უკვე გამოვლინდნენ პირველი გამარჯვებულები მძლეოსნობაში, ცურვაში, ველოსპორტში, ტყვიის სროლაში (პროგრამაში სულ 9 სახეობაა).

ძალიან კარგად გამოვიდა ... დუშანბელი მოსწავლე ... ამას წინათ მან ყველას ... „მომავალი რეზერვების" სპარტაკიადაში, რომელიც მინსკში ჩატარდა. კუტუმოვას არც ამ შეჯიბრებაში ჰყავდა ტოლი: 100 მ თავისუფალი სტილით მან 1 წუთსა და 9,6 წამში გაცურა.

ველოსიპედისტებს მთის რთულ პირობებში მოუწიათ ასპარეზობა. 15 კილომეტრზე ინდივიდუალურ რბოლაში უძლიერესი იყო დუშანბეს პირველი გუნდის წარმომადგენელი ლ. კოროვინა. 20 კმ-ზე გუნდურ რბოლაში გაიმარჯვა ჩრდილოეთ რაიონების სამმა წარმომადგენელმა — ა. გრედინამ, ლ. ოპეიკინამ და ე. მატაევამ. მათ ერთი წამით ჩამოიტოვეს დედაქალაქის სპორტსმენები და ოქროს მედლები მოიპოვეს. გამარჯვებულთა დროა 31 წუთი, 14 წამი.

სპარტაკიადა 28 აგვისტომდე გაგრძელდება.



საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები, სკოლის მერხიდან თამამად რომ ოცნებობდნენ ცის სივრცეების დაპყრობაზე, ბარნაულის უმაღლესი სამხედრო-საავიაციო სასწავლებლის კურსანტები გახდნენ.

მომავალი სამხედრო მფრინავები გულმოდგინედ ეუფლებიან საავიაციო მეცნიერების საფუძვლებს. ვიდრე აეროდინამიკისა და მატერიალური ნაწილის შესწავლას შეუდგებოდნენ, ჯერ კარგად უნდა იცოდნენ ფიზიკა, ქიმია, უმაღლესი მათემატიკა. ჯერ თეორია, შემდეგ პრაქტიკა. გზა ცის სივრცეებისკენ რთულია.

და აი, პირველი გამოცდა — პარაშუტით ხტომა.

ს უ რ ა თ ზ ე: კურსანტების ჯგუფი სასტარტო მოედანზე.

ფოტო ე. ლოგვინოვისა.

სპორტი ყველასათვის



როვნო. სსრ კავშირის XI პირველობა რადიოსპორტში — „მელაზე ნადირობა".

ს უ რ ა თ ზ ე: ივანო-ფრანკოვსკის (უკრაინა) ნავთობისა და გაზის ინსტიტუტის ლაბორანტი, კომკავშირელი მ. დანილიუკი. მან მოიპოვა ჩემპიონობა რადიოსპორტში (დიაპაზონი — 144 მეგაჰერცი).

ფოტო ა. ზდოროვილოსი.

# მაცთუნებელი თასები

ახალი სპორტული სეზონი

ევროპის იმ ქვეყნებში, სადაც ფეხბურთი ზამთრის თამაშს წარმოადგენს, დასასრულს უახლოვდება „მკვდარი სეზონი". ეროვნულ ჩემპიონატებთან ერთად სტარტს აიღებს რამდენიმე ევროპული ტრადიციული ტურნირიც — ჩემპიონთა თასი, თასების მფლობელთა თასი, ბაზრობათა თასი.

თასების მფლობელთა თასის გათამაშება ყველაზე ახალგაზრდა შეჯიბრებაა ევროპის საკლუბო გუნდებისთვის. მას ჯერ „დაბადებიდან" 9 წელიც არ შესრულებია, მაგრამ, მიუხედავად ასეთი პატარა ასაკისა, ახლა ჩემპიონთა თასზე არანაკლები პოპულარობით სარგებლობს.

როგორც ეს მიღებულია ერთ ოჯახში, ორივე თასის გათამაშების სტატუტი იდენტურია. ყველა ტურში, ფინალამდე, მოწინააღმდეგეები ორჯერ ხვდებიან ერთმანეთს (საკუთარ და მეტოქის მინდვრებზე), ხოლო ფინალი, დაწყებული 1963 წლიდან, ერთი თამაშისგან შედგება.

წლეულს თასების მფლობელთა თასისთვის ბრძოლაში, ისევე, როგორც ჩემპიონთა თასის გათამაშებაში, 32 გუნდი ჩაებმება. პრეტენდენტთა შორის არიან ისეთი ცნობილი კლუბები, როგორიც „დინამო" (მოსკოვი), „სპარტაკი" (სოფია), „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი" (ინგლისი), „ბარსელონა" (ესპანეთი), „ტორინო" (ტურინი), „გურნიკი" (ზაბჟე), „კიოლნი" (გფრ), „ჟირონდა" (ბორდო) და სხვ.

განვლილ 8 ტურნირში ვერც ერთმა კლუბმა ვერ შეძლო ორჯერ მოეპოვებინა გარდამავალი ჯილდო. აი, გამარჯვებულთა სახელები: „ფიორენტინა" (ფლორენცია, იტალია), „ატლეტიკო" (მადრიდი, ესპანეთი), „ტოტენჰემ ჰოტსპური" (ლონდონი, ინგლისი), „სპორტინგი" (ლისაბონი, პორტუგალია), „ვესტ ჰემ იუნაიტედი" (ლონდონი, ინგლისი), „ბორუსია" (დორტმუნდი, გფრ), „ბაიერნი" (მიუნჰენი, გფრ), „მილანი" (იტალია).

არც ერთი ამ 8 გამარჯვებულიდან არ არის 1968-69 წლების თასის პრეტენდენტთა სიაში. გამონაკლისი შეეძლო შეედგინა მხოლოდ იტალიის „მილანს" — VIII გათამაშების გამარჯვებულს, მაგრამ მოიპოვა რა იტალიის ჩემპიონობა, „მილანმა" ხელი აიღო ორ ფრონტზე ბრძოლაზე და თასების მფლობელთა თასს ჩემპიონთა თასი ამჯობინა.

საბჭოთა ფეხბურთელებმა პირველად მონაწილეობა მიიღეს 1965-66 წლების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში. ჩვენს ფეხბურთს მაშინ წარმოადგენდა კიევის „დინამო" — სსრ კავშირის 1964 წლის თასის მფლობელი. ჩრდილოეთ ირლანდიის „კოლრეინთან" (6:1, 4:0) და ნორვეგიის „როსენბორგთან" (4:1, 2:0) გამარჯვების შემდეგ კიეველები მეოთხედფინალში შეხვდნენ შოტლანდიის „სელტიკს", დამარცხდნენ (0:3, 1:1) და გამოეთიშნენ ბრძოლას.

მარცხი იწვნია მოსკოვის „სპარტაკმაც", მეშვიდე თასის პრეტენდენტმა. სპარტაკელებმა ილად (3:1, 3:0) დაამარცხეს „რომანტიკოსები" (ასე უწოდებენ იუგოსლაველი გულშემატკივრები თავიანთ „ოფკ ბელგრადს") და II ტურში შეხვდნენ ავსტრიის „რაპიდს" (ვენა). მოსკოვში თამაში დამთავრდა ფრედ (1:1), ხოლო ვენაში, „პრატერის" პარკის სტადიონზე გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 1:0.

კიევის დინამოელებისა და მოსკოვის სპარტაკელთა შემდეგ საბჭოთა ფეხბურთის წარგზავნილები ამ საპატიო ნადავლის გათამაშებაში იყვნენ სსრ კავშირის 1966 წლის თასის ფინალისტები — მოსკოვის ტორპედოელები, ხოლო მათი პირველი მეტოქეები — გდრ-ისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები (კიევის „დინამომ" — სსრ კავშირის თასის მფლობელმა და ჩემპიონმა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში იასპარეზა).

ტორპედოელებმა დაამარცხეს ცვიკაუს „მოტორი" (0:0, 1:0) და ტრნავის „სპარტაკი" (3:0, 3:1) და მეოთხედფინალში გავიდნენ უელსის „კარდიფ-სიტისთან" სათამაშოდ. 6-რაუნდიანი ბრძოლა კარდიფის, ტაშკენტისა და აუგსბურგის (გფრ) სტადიონებზე დამთავრდა იმით, რომ ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს უელსის ფეხბურთელებმა (1:0, 0:1, 1:0). ბურთი, რომელმაც წარმატება მოუტანა „კარდიფ-სიტის", გატანილ იქნა 222-ე წუთზე.

თასების მფლობელთა თასის წლევანდელ გათამაშებაში გამოვა მოსკოვის „დინამო". კენჭისყრამ დინამოელებს პირველ მეტოქედ არგუნა საბერძნეთის თასის მფლობელი „ოლიმპიაკოსი" (პირეოსი). პირველი მატჩი 18 სექტემბერს შედგება პირეოსში („კარაისკაკისის" სტადიონზე).

მოსკოვის დინამოელები ფავორიტთა შორის ირიცხებიან დასავლეთ ევროპის სპორტულ სპეციალისტთა თითქმის ყველა პროგნოზის მიხედვით. ინგლისელი ბუკმეკერები, მაგალითად, „ბარსელონის" შანსებს აფასებენ 10:1, „კიოლნისას" — 7:1, ხოლო მოსკოვის „დინამოსას" — 5:1.

* * *

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის პირველი ტური იწყება 18 სექტემბერს, ხოლო ბაზრობათა თასს სტარტი მიეცემა 18 დღით ადრე. ეს აიხსნება იმით, რომ ბაზრობათა თასში მონაწილეობს გუნდების სარეკორდო რაოდენობა (64), რომლებიც დაყოფილი არიან 16 ჯგუფად (4 გუნდი თვითეულში).

ბაზრობათა თასმა „ცხოვრების საგზური" 1955 წელს მიიღო. მაშინ მასში მონაწილეობდა 9 ქვეყნის 12 გუნდი (ავსტრია, ინგლისი, გდრ, დანია, ესპანეთი, იტალია, გფრ, შვეიცარია, იუგოსლავია). თამაშები მიმდინარეობდა 3 წლის მანძილზე და გამარჯვებული (ბარსელონის ნაკრები) მხოლოდ 1958 წელს გამოვლინდა.

ინტერესი ბაზრობათა თასის მიმართ აიხსნება იმით, რომ გარდამავალი პრიზისთვის მებრძოლთა შორის, როგორც წესი, არიან ვიცე-ჩემპიონები, ბრინჯაოს პრიზიორები და სხვა საუკეთესო ეროვნული გუნდები. ასე, მორიგ, მეთერთმეტე ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ ისეთი ცნობილი კლუბები, როგორიც არიან ესპანეთის „ვალენსია" და „ატლეტიკო" (მადრიდი), ინგლისის „ლივერპული" და „ჩელსი", იტალიის „ფიორენტინა" და „ბოლონია", ბელგიის „სტანდარდი", უნგრეთის „უიპეშტ დოჟა", პოლონეთის „ლეგია", ჰოლანდიის „ფეიენოორდი", ჩეხოსლოვაკიის „სლავია", ავსტრიის „ვიენა" და სხვ. საბჭოთა ფეხბურთელებს ამ ტურნირში ჯერ არ უთამაშიათ.

1965 წლამდე თასში იმარჯვებდნენ ესპანეთისა (ხუთჯერ) და იტალიის (ერთხელ) ფეხბურთელები. მეშვიდე ტურნირში პირენეისა და აპენინის ნახევარკუნძულების წარმომადგენელთა ჰეგემონიას ბოლო მოეღო და თასმა გადაინაცვლა ბუდაპეშტში, „ფერენცვაროშის" ხელთ. მართალია, 1966 წელს ბარსელონის ფეხბურთელებმა კვლავ მოიპოვეს თასი, მაგრამ შემდგომ წელიწადს ფინალში აღარ იყვნენ არც ესპანელები, არც იტალიელები. გადამწყვეტ მატჩში თასი გაითამაშეს იუგოსლავიის „დინამომ" და ინგლისის „ლიდსმა". გაიმარჯვეს ზაგრების დინამოელებმა (2:0, 0:0).

თასის X გათამაშების ფინალი ჯერ არ ჩატარებულა, მაგრამ მასში ახლაც ვერ მოხვდნენ ესპანელები და იტალიელები. საპატიო პრიზის მოსაპოვებლად იბრძოლებენ „ლიდსი" და „ფერენცვაროში". და, თუმცა, ჯერ კიდევ არაა გამოვლენილი 1968 წლის გამარჯვებული, ბაზრობათა თასის XI ტურნირი უკვე იღებს სტარტს.

ა. პერელი.

## ახალი ამბები

● მოსკოვი, 26 აგვისტო. დღეს რიგის „რადიოტექნიკის" ფრენბურთელმა ვაჟებმა ანგარიშით 3:2 (12:15, 16:14, 6:15, 15:10, 15:8) დაამარცხეს ადგილობრივი ცსკა და საკავშირო ჩემპიონატში ბრინჯაოს მედლები გაინაღდეს. ჩემპიონი კი ჯერჯერობით უცნობია.

● ბუდაპეშტი, 26 აგვისტო. სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენები ყოველწლიურად ეჯიბრებიან ერთმანეთს კარტინგებით რბოლაში „მეგობრობის თასზე". ამჯერად ეს შეჯიბრება უნგრეთში ჩატარდა. თასი მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა: მათ ბოლო, მესამე — „უნგრულ ეტაპზე" აჯობეს ყველას და საერთო გუნდური პირველობაც დაისაკუთრეს. II ადგილზეა გდრ-ის ნაკრები. კარგად გამოვიდნენ საბჭოთა მრბოლელები პირად ჩათვლაშიც: მოსკოველმა ა. საფონოვმა საერთო II ადგილი დაიკავა, ხოლო რიგელმა ვ. ბორტნიეკსმა — III. უძლიერესთა ხუთეულში შევიდა კურსკელი ვ. ლიტკინიც.

● ვარშავა, 26 აგვისტო. აქ დამთავრდა კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი — ვ. პიტლიასინსკის მემორიალი. შეჯიბრებაში სამი პირველი ადგილი დაიკავეს საბჭოთა ათლეტებმა: ლვოველმა ი. მიხაილიშინმა (უმძიმესი წონა), ალმაათელმა ვ. ტოპოროვმა (ქვემსუბუქი) და კორონეჟელმა ვ. მერკულოვმა (ქვემძიმე). დანარჩენ წონით კატეგორიებში გაიმარჯვეს: პოლონელებმა ლიპიენმა, კვეცინსკიმ და ვოიდამ, ბულგარელმა ტონჩევმა და შვედმა კარსტროემმა. რიგით ამ მეთერთმეტე მემორიალში ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, შვეციისა და სსრ კავშირის 63 მოჭიდავე მონაწილეობდა. პიტლიასინსკის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი განსაკუთრებით ძვირფასია საბჭოთა სპორტის მოყვარულთათვის. ეს გამოჩენილი პოლონელი ათლეტი რუსეთში კლასიკური ჭიდაობის დამფუძნებლად შეიძლება მივიჩნიოთ. 1895 წელს მან პეტერბურგში ჭიდაობის სკოლა ჩამოაყალიბა. შემდგომში სწორედ მისი მეცადინეობით გაიხსნა ასეთივე სკოლები მოსკოვსა და ოდესაში. პიტლიასინსკი 1933 წელს გარდაიცვალა ვარშავაში.

● ლოს-ანჯელესი, 26 აგვისტო. ერთი თვის განმავლობაში ორჯერ გააუმჯობესა 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მსოფლიო რეკორდი 16 წლის ამერიკელმა მოსწავლემ დები მაიერმა. ამჯერად მან აჩვენა 4.24,5, რაც მისსავე რეკორდს ერთბაშად 2,2 წამით სჯობს.

ახალი ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამარჯვების ფინალი



როგორც წინა ნომერში ვიუწყებოდით, ლაიპციგში გამართული იუნიორ მძლეოსანთა II ევროპული თამაშები საბჭოთა სპორტსმენების ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. სსრ კავშირის წარგზავნილებმა ოქროს 18, ვერცხლის 12 და ბრინჯაოს 11 მედალი მოიპოვეს. მათ ბევრით ჩამოიტოვეს II ადგილზე გასული მასპინძელთა გუნდი (გდრ-ის მძლეოსნებმა ოქროს 11, ვერცხლის 15 და ბრინჯაოს 5 მედალი დაისაკუთრეს).

იუნიორთა ახალი საკავშირო რეკორდები დაამყარეს 18 წლის მოსკოველმა ტ. ბიჩკოვამ (მან ხუთჭიდში 4582 ქულა დააგროვა) და 4×100 მეტრზე ესტაფეტაში მოასპარეზე ოთხეულმა — რ. ნიკანოროვამ, ნ. ბესფამილნაიამ, მ. ნიკიფოროვამ, ლ. ჟარკოვამ — 45,3 წამი. სხვათა შორის, ესტაფეტაში მოპოვებული ოქროს მედალი მესამე იყო 16 წლის სვერდლოვსკელი ჟარკოვას კოლექციაში. მან მოიგო ფინალური გარბენი 100 მეტრზე, მეორე დღეს კი ყველას აჯობა 200-მეტრიან დისტანციაზე — 23,9. სამი მედალი დაისაკუთრა 19 წლის კიეველმა ვ. ბორზოვმა: ჯერ 100 მეტრზე რბენა მოიგო, შემდეგ 200 მეტრზე აჯობა ყველას (21,0), ბოლოს კი ესტაფეტაში მოიპოვა გამარჯვება, როგორც საბჭოთა კვარტეტის წევრმა (4×100 მ — 40,4).

სვერდლოვსკელი ი. ისაკოვი საუკეთესო იყო ჭოკით მხტომელთა შორის — 470 სმ. ოდესელმა ე. მაზეპამ ყველას აჯობა 110 მეტრზე თარჯრბენში — 14,1. მოსკოველმა ე. სირომიატნიკოვამ ყველაზე შორს ჰკრა ბირთვი — 15,02 მ, ივანოველმა ა. შიგინმა „ოქროს ნახტომი“ შეასრულა 210 სმ სიმაღლეზე.

იუნიორთა ევროპული მიღწევები დაამყარეს 17 წლის ე. გავრილენკომ, რომელმაც 400 მეტრზე თარჯრბენში 51,6 აჩვენა, გდრ-ის სპორტსმენმა გოგონებმა — ბ. პოლაკმა (ხუთჭიდში — 4717) და ვ. ბირნბაუმმა (400 მეტრზე — 54,0).

4×400 მეტრზე ესტაფეტაში კონტინენტის უმაღლესი მიღწევა მოიპოვა სსრ კავშირის გუნდმა ვ. ვოლჩოკის, ე. სკაკუნის, ვ. ნოსენკოსა და ა. კუჩერიავის შემადგენლობით. მათი შედეგია 3.12,3.

გამარჯვებულებმა პროგრამის 23 სახეობაში უფრო მაღალი შედეგები აჩვენეს, ვიდრე I ევროპულ თამაშებში (1966 წელი, ოდესა).

* * *

სურათზე: სიგრძეზე ხტომაში გამარჯვებული მ. ბარიბანი (კრასნოდარი) ასპარეზობისას.

ფოტო ცენტრალბილდ — საქდესისა.

18,
12,
11.

# ერმოლაევა, ბარტონი და სხვები

რომი, 26 აგვისტო. (საქდესის სპეც. კორესპონდენტები ა. ერმაკოვი, ვ. პოპოვი). საბჭოთა ველოსიპედისტმა ქალებმა წარმატებით აიღეს სტარტი მსოფლიოს ჩემპიონატში, რომელიც 1960 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის საგანგებოდ აშენებულ რომის სახელგანთქმულ ხისსაფარიან ტრეკზე დღეს დაიწყო. მაყურებლების ტაში პირველმა დაიმსახურა ხარკოველმა ირინა კირიჩენკომ. ინგლისელ ბერნადეტ სვინერტონთან წყვილში მან ჩემპიონატი გახსნა — სპრინტერული რბოლის ფინიშზე რამდენიმე მეტრით გაუსწრო მეტოქეს.

დილის შეჯიბრებებში გამარჯვებულნი მეოთხედფინალში გავიდნენ. აქ იყვნენ კირიჩენკო და კიდევ ორი საბჭოთა ველოსიპედისტი, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი გალინა ერმოლაევა და ჩემპიონატის დებიუტანტი, ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი ალა ბაგიანცი, აგრეთვე, ფრანგი გიზელა კაილე, რომელმაც ჩინებულად მოიგო თავისი სერიები და ორი სპორტსმენი გდრ-იდან — კარინ შტიუვე და ჰეიდი ბლონერი. მოსკოველმა ერმოლაევამ დაამარცხა ფინელი ირმა იუსილა, ხოლო ბაგიანცმა — ფრანგი ჟელეტ სავარი და ირლანდიელი როზი ტროი.

გამოდევნებით 3 კილომეტრზე რბოლის მეოთხედფინალში გავიდნენ ხარკოველი რაისა ობოდოვსკაია და ჩემპიონატში პირველად მონაწილე ალმაათელი სტუდენტი ნინა კარატაევა. ჰოლანდიელმა კორნელია ჰაგემ მცხუნვარე მზის ქვეშ მძაფრი ტემპი შესთავაზა ობოდოვსკაიას და კარგა ხანს უფრო სწრაფადაც მიდიოდა, მაგრამ ბოლოს რბოლა ძლივსძლიობით დაამთავრა. ობოდოვსკაიასა და კარატაევას შედეგებია შესაბამისად 4.06,4 და 4.07,52. მათზე უკეთ 3-კილომეტრიანი დისტანცია გაიარა ინგლისელმა ბერილ ბარტონმა — 4.06,19. იორკშირელი მასწავლებელი ბარტონი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, თავის ქალაქში ტრანსპორტის ყველა სხვა საშუალებაზე მეტ პატივს ველოსიპედს სცემს.

ჩემპიონატში 9 ქვეყნის სპორტსმენები გამოდიან. ასეთი ფართო წარმომადგენლობა არც ერთ წინა შეჯიბრებას არ ახსოვს. მაყურებლებმა პირველად იხილეს ტრეკზე ქერათმიანი ფინელები, მოსული ტანის ირლანდიელი გოგონები, შავგვრემანი, ტემპერამენტიანი იტალიელები, რომლებმაც ბოლოსდაბოლოს გადაწყვიტეს გაათავისუფლონ „ბორკილებისგან“ ქალთა ველოსპორტი იტალიაში — ერთ-ერთ უძლიერეს „საველოსიპედო ქვეყანაში“.

ჩემპიონატის ყველაზე პოპულარული მონაწილეები არიან ერმოლაევა და ბარტონი. ქალთა მსოფლიო ჩემპიონატების ჩატარება ზუსტად 10 წლის წინ დაიწყეს. დღევანდელ მონაწილეთაგან 1958 წელს პარიზში მხოლოდ ერმოლაევა გამოდიოდა. მაშინ 19 წლის ქალიშვილი მსოფლიოს პირველი ჩემპიონი გახდა. ბარტონი, რომელიც ჩემპიონატებში 1959 წლიდან მონაწილეობს, 7-ჯერ იყო ჩემპიონი: 4-ჯერ — გამოდევნებით რბოლაში, 3-ჯერ — საგზატკეცილო დისტანციებზე.

ჩემპიონატი, რომელმაც რომში 17 ქვეყნის სპორტსმენებს მოუყარა თავი, რამდენიმე მოქმედებისგან შედგება. თავდაპირველად, 29 აგვისტომდე, ასპარეზზებენ ქალები, მოყვარულები საკიდერო რბოლაში (ჩვენგან გამოვა მ. მარკოვი) და იმავე სახეობაში — პროფესიონალები. 31 აგვისტოსა და 1 სექტემბერს ქალაქ იმოლას მახლობლად, რომელიც ჩრდილოეთ იტალიაში, რომიდან დაახლოებით 400 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს, გაიმართება შეჯიბრება საგზატკეცილო რბოლაში. ქალები სტარტს აიღებენ შაბათს 55-კილომეტრიან დისტანციაზე, ხოლო კვირას, იმავე წრიულ ტრასაზე (ყოველი წრის სიგრძეა 5 კმ) პროფესიონალი ვაჟები 277 კილომეტრს გაივლიან.

# ფრენბურთელ ქალთა ფინიში

მოსკოვი, 27 აგვისტო. „ა“ კლასის ფრენბურთელ ქალთა XXX საკავშირო ჩემპიონატი სამამულო სპორტის ისტორიის კუთვნილებად იქცა. ტურნირში, რომელმაც რამდენიმე თვეს გასტანა, ნათამაშევია 264 მატჩი. თვითეულმა გუნდმა 44 შეხვედრა გამართა.

ბოლო მატჩებს სატურნირო ცხრილში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ შეუტანია. ცხრილის ზედა ნაწილის ყველა გუნდი უფრო ქვედა ადგილებზე მყოფ კოლექტივებს შეხვდა და გაიმარჯვა.

გთავაზობთ გათამაშების საბოლოო ცხრილს:

| | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|
| ცსკა | 39 | 5 | 83 |
| „სპარტაკი“ (ირკუტსკი) | 35 | 9 | 79 |
| „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) | 34 | 10 | 78 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 32 | 12 | 76 |
| „ბურევესტნიკი“ (ოდესა) | 28 | 16 | 72 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 23 | 21 | 67 |
| „ბურევესტნიკი“ (კიევი) | 23 | 21 | 67 |
| „სპარტაკი“ (მინსკი) | 16 | 28 | 60 |
| „სპარტაკი“ (ხარკოვი) | 10 | 34 | 54 |
| „სპარტაკი“ (ლენინგრადი) | 9 | 35 | 53 |
| „დაუგავა“ (რიგა) | 8 | 36 | 52 |
| „ნეფტიანიკი“ (ბაქო) | 7 | 37 | 51 |

# ყოველი მხრიდან

## ინტენსიური ვარჯიშით

1950 წლამდე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფრენბურთელები სპორტულ სარბიელზე არ ჩანდნენ. ამ ქვეყანაში სულ 36 ათასი კაცი თამაშობდა ფრენბურთს და შესაბამის საზოგადოებებში იყო გაერთიანებული, მაგრამ გდრ-ის ფრენბურთის ფედერაციამ აქტიური მუშაობა ჩაატარა იმ მიზნით, რომ სისტემატურად და მრავალმხრივად ემზადებინათ ახალგაზრდა ცვლა.

ამ მუშაობამ ნაყოფი მალე გამოიღო. 1963 წლის ივლისში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებმა პირველი სენსაცია შემოგვთავაზა. ყველასთვის უცნობმა 12 მოთამაშემ დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონი, სსრ კავშირის გუნდი ანგარიშით 3:1. 1964 წელს გდრ-ის ფრენბურთელებმა კიდევ ორი მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს — დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიის ნაკრები, რომელიც ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში მეორე იყო, და იაპონიის გუნდი (III ადგილი ტოკიოს ოლიმპიადაში). 1966 წელს პრაღაში უკვე შეუპოვარი ბრძოლა გაჩაღდა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისა და მეხიკოს ოლიმპიური თამაშების საგზურისთვის. გდრ-ის წარმომადგენლებმა IV ადგილი დაიკავეს და საგზური დაისაკუთრეს.

### ისევ მარცხი

პოტსდამი, 27 აგვისტო. ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის ჩემპიონმა — სსრ კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა გუნდმა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მეორე შეხვედრაც წააგო ამ ქვეყნის ნაკრებთან — 1:3 (12:15, 18:16, 8:15, 14:16).

ახლა ნაკრები აქტიურად ემზადება მექსიკის ტურნირისთვის. მის შემადგენლობაში შედიან ისეთი ცნობილი სპორტსმენები, როგორიც არიან ი. კესელი (სპორტკლუბი „დინამო“), ზ. შნაიდერი (ლაიპციგის კლუბი), რ. ჩარკე (ბერლინის კლუბი) და სხვ. წვრთნის ელემენტებიდან ყველა მოთამაშისთვის სავალდებულოა ვარჯიში შტანგით (დარტყმის ძალის გამოსამუშავებლად), თარჯრბენი (ხტომის უნარის გამომუშავებისთვის), კროსები (ამტანობას ავითარებს).

„თუ გვინდა რაიმეს მივაღწიოთ მეხიკოში, — ამბობს გდრ-ის ნაკრების მწვრთნელი გ. იენტერი, რომელიც ათ წელზე მეტია გუნდს ხელმძღვანელობს, — ჩვენ გვჭირდება მხოლოდ ერთი: რაც შეიძლება ეფექტურად გამოვიყენოთ წვრთნის ყოველი წუთი. თვითეული იმაზე უნდა ფიქრობდეს, რომ ინდივიდუალური ოსტატობა კოლექტივის ძალად აქციოს“.

## საფარიკაო სარბიელზე

უნგრელი მოფარიკავეები გამალებით ემზადებიან. მეხიკოში ისინი მტკიცედ აპირებენ მსოფლიო სარბიელზე მოპოვებული პოზიციების დაცვას. მოვაგონებთ უნგრელთა ოლიმპიურ გამარჯვებებს: 1908 წელი — ენე ფუქსი, 1912 — ენე ფუქსი, 1924 — შანდორ პოშტა, 1928 — ედენ ტერშტიანსკი, 1932 — დიერდ ეკელფალუში-პილერი, 1936 — ენდრე კაბოში, 1948 — ალადარ გერევიჩი, 1952 — პალ კოვაჩი, 1956 — რუდოლფ კარპატი, 1960 — რუდოლფ კარპატი, 1964 — ტიბორ პეჟა.

თავდაპირველად უნგრელთა მთავარ ძალას ესპადრონისტები წარმოადგენდნენ, მაგრამ შემდეგ რაპირითა და დაშნით მოფარიკავეები დაწინაურდნენ. რაპირისტებმა, მაგალითად, ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს ჰელსინკისა და მელბურნის ოლიმპიადების გუნდურ შეჯიბრებაში. დაშნით მოფარიკავეთა გუნდმა ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში I ადგილი დაიკავა და მეხიკოში ჩემპიონის ტიტული უნდა დაიცვას. ტოკიოს ოლიმპიადა ყველაზე ნაყოფიერი იყო უნგრეთის ფარიკაობის ისტორიაში. ი. რეიტემ მძიმე ბრძოლაში გამოჰგლიჯა ოქროს მედალი პირად ტურნირში რაპირით მოფარიკავე ქალებს.

„ოქროს მარაგით“ უნგრელ მოფარიკავეთა შორის პირველი ადგილი მტკიცედ უჭირავს გერევიჩს. მან თავის ქვეყანას ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონის ოქროს 22 მედალი მოუტანა. გერევიჩს ვერ შეედრებიან ისეთი ცნობილი სპორტსმენებიც კი, როგორიც არიან პ. კოვაჩი (16 მედალი) და რ. კარპატი (11 მედალი).

რა მდგომარეობაა უნგრულ ფარიკაობაში დღეს? უნგრეთის მოფარიკავეთა ფედერაციის თავმჯდომარე პ. კოვაჩი ოპტიმისტურადაა განწყობილი: „ტოკიოს თამაშების შემდეგ ძალთა თანაფარდობა შეიცვალა, ახლა საბჭოთა მოფარიკავეები ლიდერობენ. მეხიკოში უნგრელებს გვარიანად გაუჭირდებათ. და მაინც, ჩვენ რვავე სახეობაში გვაქვს წარმატების შანსი. ჩემი აზრით, გამორიცხული არაა შესაძლებლობა ოქროს 2 მედლის მოპოვებისაც. მაგრამ ვინ მიიღებს ამ მედლებს, ეს ჯერჯერობით ძნელი სათქმელია. ზ. ნემერე? ტ. პეჟა? ი. ბობიში? ე. კამუტი? ესპადრონისტთა გუნდი, დაშნით მოფარიკავეები თუ ქალთა გუნდი? იქნებ რაპირისტმა ვაჟებმა გაიმარჯვონ? ყველა ამ კითხვას პასუხს ოლიმპიადა გასცემს“.

## კვლავ სიკვდილი რინგზე

იგი 19 წლისა იყო. იტალიელ რაიმონდო კავიანის მძლავრი კუნთების მეტი არაფერი გააჩნდა — არც სამუშაო, არც პროფესია. ფულის საშოვნელად მან მტვირთავად დაიწყო მუშაობა, ათას საქმეს აკეთებდა. და აი, ჯანმაგარ ბიჭს ხადლაც თვალი მოჰკრა პროფესიული კრივის ერთ-ერთმა მენეჯერმა.

შემდეგ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ჩვეულებრივ ხდება. „შენ შეგიძლია გქონდეს ბევრი ფული, მანქანა, საკუთარი სახლი, ერთი სიტყვით, შეგიძლია ბედნიერი იყო. ჯერჯერობით ჩემპიონებთან წაიმუშავე“.

ასე იქცა რაიმონდო კავიანი იმად, რასაც პროფესიულ კრივში „ცოცხალი მსხალი“ ჰქვია. მას სავარჯიშოდ იყენებდნენ ცნობილი მოკრივეები. ბევრჯერ დარტყმა ისე ძლიერი იყო, რომ კავიანი მოწყვეტით დაასკდებოდა იატაკს, მაგრამ მენეჯერი მოითხოვდა, ადექიო და ყველაფერი თავიდან იწყებოდა.

რაიმონდო თანდათან თვითონაც დაეუფლა კრივის საიდუმლოს. მას ნაკლებად ცნობილი მოკრივეების პარტნიორადაც უშვებდნენ რინგზე, რათა რეკლამა გაეწიათ ამ უკანასკნელთათვის. შემდეგ მენეჯერებმა გადაწყვიტეს კავიანი შეეხვედრებინათ უფრო ძლიერი მეტოქისთვის — ბალისაისთვის. რინგზე სისხლიანი ბრძოლა დაიწყო. მნახველები ამბობენ, იქაურობა სასაკლაოს ჰგავდაო. რაიმონდო ძლივს იდგა ფეხზე, მაგრამ მ[illegible] ბი თავის საქმეს განაგრძობ[illegible]. ერთ-ერთი მძლავრი დარტყმის შემდეგ კავიანი დაეცა და აღარ ამდგარა. ექიმების ჩარევა უკვე აღარ იყო საჭირო. ახალგაზრდა სპორტსმენი ისე მოკვდა, რომ გონს არ მოსულა.

და ბოლოს: გვამის გაკვეთის შემდეგ გამოირკვა, რომ რაიმონდოს თავსა და მთელს სხეულზე ხუთი სასიკვდილო ტრავმა ჰქონდა მიყენებული.

## „ოლიმპიური პროცესი“

რომში ირჩეოდა სასამართლო საქმე, რომელსაც გაზეთებმა „ოლიმპიური პროცესი“ უწოდეს.

1960 წელს, რომის ოლიმპიადის დაწყების წინ ბევრი საქმოსანი იბრძოდა, რომ ოლიმპიური სოფლისა და სხვა ნაგებობების მშენებლობის უფლება მიეღო. მშენებლობა ძალიან საფუძვლიანი უნდა ყოფილიყო, რადგან ქალაქის ხელისუფლება ოლიმპიადის შემდეგ ამ ნაგებობების გამოყენებას სხვა მიზნებით აპირებდა (მაგალითად, მოსახლეობის ბინებით დასაკმაყოფილებლად). მაგრამ უკვე თამაშების დროს გამოირკვა, რომ 1200 ათლეტისთვის ბინები სათამაშო ხუხულებივით იყო ნაშენი.

საქმე ისაა, რომ საქმოსანთა ჯგუფმა, რომელსაც მშენებლობა დაევალა, მოისყიდა მაგისტრატის ზოგიერთი მუშაკი და ოლიმპიური სოფელი გამორჩენის წყაროდ გაიხადა. კომპანიის ხელმძღვანელები სახელმწიფოს იაფ მასალას ძვირად აძლევდნენ, ნაცნობობითა და სხვადასხვა კავშირით სარგებლობდნენ და საექსპლოატაციოდ თითქმის აუშენებელ შენობებს აბარებდნენ.

ეს მაქინაციები რამდენიმე წლის შემდეგ გაირკვა, მაგრამ საქმოსანთა მფარველები ყოველმხრივ ცდილობდნენ პროცესის გაჭიანურებას, საქმის მიჩქმალვას. ასე იყო თუ ისე, საზოგადოებრიობის მოთხოვნით დამნაშავენი მაინც წარსდგნენ სასამართლოს წინაშე. 13 კაცს 16 თვით პატიმრობა მიესაჯა. ცხრა კაცი, ვისაც უფრო გავლენიანი მფარველი აღმოაჩნდა, გაათავისუფლეს. დამახასიათებელია, რომ ერთ-ერთმა ბრალდებულმა პროცესზე განაცხადა: „იმ მენეჯერებსა და ტოტალიზატორის პატრონებს, სპორტის ხარჯზე რომ მდიდრდებიან, არ ასამართლებენ. ჩვენ კი ჩვენს ბიზნესს ვაკეთებდით და ამისთვის ბრალდებულის სკამზე აღმოვჩნდით. რატომაა ასე?“

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

საქართველოს სპორტკავშირის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ სამტრედიის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე გ. კალაძეს მამის ლეონტი ნიკოლოზის ძე კალაძის გარდაცვალების გამო.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 00835